პროგრამული პროექტები - „კვლევა-აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების პოსტრავმული ადაპტაცია და მათი ჩართულობა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში“ და დიასპორების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში (22-23 დეკემბერი, 2018)

2018 წლის 22-23 დეკემბერს, პროგრამის ,,სამშვიდობო ინიციატივები, სამოქალაქო ინტეგრაცია, ნდობის აღდგენის მხარდაჭერა და დიალოგისაკენ მიმართული შესაძლებლობების გაძლიერება'' ფარგლებში, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა განახორციელა პროექტები:

1. კვლევა - აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების პოსტრავმული ადაპტაცია და მათი ჩართულობა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში
2. დიასპორების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ ,,ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრთან“ თანამშრომლობით, მინისტრის აპარატმა აღნიშნული პროექტები ჩაატარა სსიპ ,,ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრში“. ზემოთ ხსენებული პროექტები მოიცავდა 2-დღიან შემეცნებით - გასართობ ტრენინგებს, რომელშიც 100-მდე მოსწავლე იღებდა მონაწილეობას. მათ შორის იყვნენ თბილისში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი და თბილისში არსებული დიასპორების წარმომადგენელი ახალგაზრდები.

ღონისძიების მიზნი იყო სხვადასხვა სახის გასართობ-შემეცნებით ტრენინგებში მონაწილეობით ცნობიერების ამაღლება ისეთ თემებზე, როგორებიცაა: სამოქალაქო განათლების მნიშვნელობა, ახალგაზრდების უფლებები, აქტიური მოქალაქეობა, მოხალისეობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, დემოკრატიისა და მშვიდობის მშენებლობა, მეგობრობა ბულინგისა და აგრესიის ნაცვლად, ხელოვნება, როგორც მშვიდობის მშენებლობის გზა და სხვა.

ღონისძიების ფარგლებში ასევე მოეწყო დღევანდელ აფხაზეთში აფხაზი ახალგაზრდების მიერ გადაღებული ფოტოების გამოფენა სათაურით: ,,გალიდან - ფსოუმდე‘‘, სტუმრები გაეცნენ წიგნს ,,საერთო წარსულით - საერთო მომავლისკენ‘‘, მოეწყო ამავე სახელწოდების მოკლემეტრაჟიანი ფილმის ჩვენება და პერფორმანსი. მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.